ქართველი ხალხის ერთგული შვილი

ულმობელმა სიკვდილმა ჩვენ[illegible]ან გამოგვაცალა საყვარელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი სიმონ ნიკოლოზის-ძე ჯანაშია. ჩვენ არ შეგვიძლია გულდამშვიდებით მოვისმინოთ ამბავი ასეთი ადამიანის გარდაცვალების შესახებაც კი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი საოცარი მოღვაწეობით ზოლომდე მოიხადა ალი ქვეყნის წინაშე. მით უმეტეს შეუძლებელია ოღონდ ერთხელ მოვისმინოთ, რომ აღარ ვეყოფა ამ ალგაზრდა, ნიჭიერ, ცოდნით და ენერგიით აღსავსე მეცნიერი, რომელსაც სურვილი ჰქონდა და უნარიც კიდევ ბევრი რამ შეეტანა ამ წვლილისათვის, რომლის შეტანა მან მოასწრო მეცნიერების საკურთხეში.

სიმონ ჯანაშიას სახით დღეს ჩვენი ხალხი გამოეთხოვება თავის უერთგულეს შვილს, რომელიც თავდადებით იღწოდა მისი დიდებისათვის და მტკიცე დარაჯად ედგა მის ინტერესებს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ეს კაცი ხელში ჰუდგრად შეებრძოლა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, ოდესღაც მიმტაცებელ „მეზობელს".

ბლოგობს საქართველოს სსრ ჩეკნიერებათა აკადემია, რომელიც სამარეს ამარებს დღეს თავის პირველ ვიცე-პრეზიდენტს და ენერგიულ ხელმძღვანელ-ორგანიზატორს.

ბლოგობს საქართველოს ხალხმეურნეობა უნივერსიტეტი, რომელმაც დაკარგა სასიკეთოდ პირველ შვილი და ნიჭიერი პედაგოგი. ბევრ უსაფუძვლო ბარათიელ მეცნიერთა ძველ თაობას, რომელიც შორდება თავის ერთ-ერთ საამაყო მოწაფეს.

დიდია ჩვენი დანაკლისი, მაგრამ ჩვენ არ გვაქვეთ სულმოკლეობა და სასოწარკვეთილება. მტკიცედ გვწამს, რომ სიმონ ჯანაშიას საფლავზე და ამ ნაადგილზე, რომელსაც ეს ასე ელოდებოდა თავის ბანმოკლე სიცოცხლეში, მრავალად წარმოიშობიან და აღიზრდებიან მეცნიერები და მოქალაქენი, რომელნიც ამჟამად ოუნაზლიერებენ საყვარელ საშობლოს ულმობელი სიკვდილით მიყენებულ დანაკლისს.

შვიდობით, ყველასათვის ძვირფასო ადამიანო!

აკადემიკოსი ქ. ქიქოძე